



# საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

## 2014 წლის I კვარტლის ანგარიში

2014 წლის 23 იანვარს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ფონდ „ქართულ გალობა“-ს შორის.

მემორანდუმის გაფორმებას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი მოვლენა: ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი დონაძის ინიციატივით, მეუფე იაკობმა სხვა საღმრთო პირებთან ერთად აკურთხა ფოლკლორის ცენტრის შენობა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და ცენტრის თანამშრომლებს შორის. შეხვედრა გახსნა დირექტორმა გიორგი დონაძემ. ცენტრის ხელმძღვანელმა ისაუბრა ფონდ „ქართულ გალობა“-სთან გაფორმებული მემორანდუმის მნიშვნელობის შესახებ, სამომავლო გეგმებსა და პროექტებზე. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და ფონდი „ქართული გალობა“ პირველ ერთობლივ პროექტს განახორციელებს 2014 წლის 3 თებერვალს - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართება ედიშერ გარაყანიძის სახელობის ეთნომუსიკის თეატრის „მთიები“ სოლო კონცერტი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ფონდ „ქართული გალობის“ დირექტორი ნანა გოთუა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.



2014 წლის 28 იანვარს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ცნობილი მწერლისა და ენათმეცნიერის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, გიორგი ცოცანიძის ახალი წიგნის - „შეთეს“ - პრეზენტაცია.



2014 წლის 3 თებერვალს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ფონდი „ქართული გალობის“ მხარდაჭერით, გიგი გარაყანიძის სახელობის ეთნომუსიკის თეატრმა - „მთიებმა“ - რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე გამართა გიგი გარაყანიძისა და გიგა ხაინდრავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ორნაწილიანი თეატრალიზებული სადამო - „ზარი“.



2014 წლის 26 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გრანჯა (ვახტანგ) ქიბიშაურის წიგნის - „არხოტული მოგონებები და ლექს-ანდრეზები“ - პრეზენტაცია.

გამომსვლელები - ფოლკლორისტი ამირან არაბული და წიგნის რედაქტორი გიგი ხორნაული - შეეხნენ წიგნის შექმნის ისტორიას, ხაზგასმით აღნიშნეს გრანჯა ქიბიშაურის ღვაწლი და დამსახურება დასავიწყებლად განწირული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გადარჩენის საქმეში.

ავტორმა გრანჯა ქიბიშაურმა მადლობა გადაუხადა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებას თავისი ღვაწლის ესეოდენ დაფასებისათვის.



2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ლაშა კინწურამვილის გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა.



2014 წლის 28 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ცნობილი პროფესიონალი მხატვრის ილო პატაშურის პერსონალური გამოფენა - „ქართული პეიზაჟი“ - ფერწერა. გამოფენა გახსნა პოეტმა ნანა კინაძემ. მხატვრებმა - თამაზ ხუციშვილმა, გია იაშვილმა და რადიმ თორდიამ, - ისაუბრეს მხატვრის ხელოვნებაზე, სტილსა და მანერაზე, უჩვეულო ფერთა გამაზე, ილო პატაშურის დამსახურებასა და როლზე ქართულ მხატვრობაში.



2014 წლის 10-14 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი იმყოფებოდა აბაშის, სენაკისა და ჩხოროწყუს რაიონებში. ექსპედიციის მიზანი: შემოქმედებითი შეხვედრები ამ რაიონებში მოღვაწე მუნიციპალურ ფოლკლორულ ანსამბლებთან და სენაკის რაიონში მცხოვრები დევნილი მოხუცების ტრიოსთან („კოჩარა“).

ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა კონსულტაცია გაუწია აბაშის ანსამბლ „ჰარიას“ (ხელმძღვანელი ნათელა მიქაძე), სენაკის ანსამბლ „ეგრისს“ (ხელმძღვანელი თემურ ცხაკაია) და ჩხოროწყუს ანსამბლ „ჩხოროწყუს“ (ხელმძღვანელი გიორგი კაჭარავა), მოისმინა და დააფიქსირა მათი რეპერტუარი, ყურადღება გაამახვილა სამემსრულებლო სტილსა და მანერაზე, რეპერტუარის შერჩევასა უპირატესად თავიანთი კუთხის ტიპობრივ ვარიანტებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშობა ტრიო „კოჩარასთან“: ესაა ავთენტიკური ჯგუფი, რომელიც ძირითადად აფხაზურ სიმღერებს ასრულებს. მათი რეპერტუარი აქამდე არავის ჩაუწერია.

ექსპედიციის მიერ მოძიებული და დაფიქსირებული მასალა ჩაბარდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივს და მომავალში ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის.



2014 წლის 13 მარტს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულ სიძველეთა კვალდაკვალ“, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, მოაწვევს გამოფენა : „ქსნური ფოლკლორი - ხალხური რეწვის ნიმუშები ქსნის ხეობიდან.“

გამოფენა ქსნის ხეობის ყოფაში შემორჩენილი ხალხური რეწვის ძველი და ახალი ნიმუშები: კერამიკა, ფარდაგი, სპილენძის ნაკეთობანი და ხის მხატვრული დამუშავების ნიმუშები. ექსპოზიცია გაფორმდა შესაბამისი ფოტომასალით.

ექსპოზიცია გაიხსნა ახალგორელი ნიკოლოზ ქასოშვილის ხალხური სიმღერით. გამოფენის დიდ მნიშვნელობასა და მოწყობის სირთულეებზე ისაუბრეს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა ცისანა მარინდაშვილმა. გამოფენის შესახებ ისაუბრეს: ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტმა ესაიამ; ხელოვნებათმცოდნე თამაზ სანიკიძემ; თბილისის სამხატვრო აკადემიის პრორექტორმა ნანა კიკნაძემ; ენათმეცნიერმა გიორგი ცოცანიძემ; ფოლკლორისტმა ამირან არაბულმა; პოეტმა ეთერ თათარაიძემ; წეროვნის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა, წეროვნის საკრებულოს თავმჯდომარემ ავთანდილ ყოჩაშვილმა. ცხავატური და ახალგორული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები

წიკითხეს ლალა ბუნტურმა და ჯემალ ჩიტიშვილმა. ახალგორელი მოხუცები მოჰყვენენ ქსნის ხეობის წარსულ და თანამედროვე რეალურ ამბებს. პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა წიკითხა თავისი ლამაზი პოეზიის ძველი და ახალი ნიმუშები. სადამოს დასასრულს ხალხური სიმღერები შეასრულა ნუგზარ ფსუტურის სახელობის ახალგორის ანსამბლმა „ლომისმა“.



2014 წლის 1 მარტიდან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან შეიქმნა ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის შემსწავლელი ბავშთა სკოლა. ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის შემსწავლელი ბავშთა სკოლის დაარსების მიზანია: მომავალი თაობის ეროვნული ფასეულობებისადმი ინტერესის გაზრდა, ქართული ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ბავშვებისათვის ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და ტრადიციული გალობის შესწავლის ხელშეწყობა.

ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის შემსწავლელ ბავშთა სკოლაში ბავშვები შეისწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ტრადიციულ გალობას, ასევე სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ ქართულ ტრადიციულ საკრავებს.

2014 წლის 20-30 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი ეთერ თათარაიძე, ფოლკლორისტ ამირან არაბულთან ერთად, გაემგზავრა ყაზბეგის რაიონში. ექსპედიციის მიზანი: წიგნისათვის „მოხუერი ზეპირსიტყვიერება“ (გამოიცემა 1937 წელს ხევში ჩაწერილი და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული მასალების მიხედვით) სათანადო

მასალების მოძიება სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობისა და ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმებში; დაბა სტეფანწმინდასა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლებში 1937 წელს ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩამწერთა და შემკრებთა ოჯახებისა და შთამომავლობის მონახულება; საოჯახო ალბომების იმდროინდელი სამოსის, ხალხური რეწვის ნიმუშების, ფოტოების მოძიება - დაფიქსირება. აღნიშნული ექსპედიცია ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „მოხეური სიტყვიერების წიგნის გამოცემა და ფოტო გამოფენის მოწყობა“  
ექსპედიცია თბილისში 30 მარტს დაბრუნდება.

- ❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მოქმედებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.
- ❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განახლებული ელექტრონული არქივის შესავსებად.